

მანანა ბუკია

**მწყემსის სამოსისა და აღჭურვილობის აღმნიშვნელი
ლექსიკა მეგრულში**

მესაქონლეობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მრავალი საინტერესო ტერმინი შესძინა მეგრულს. დღეს კი საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლამ, ტექნიკურმა პროგრესმა მესაქონლეობას თავისი ოდინდელი მნიშვნელობა დაუკარგა. შესაბამისად, დაიკარგა ან სემანტიკურად გაბუნდოვანდა ამ დარგთან დაკავშირებული ბევრი ლექსიკური ერთეული, თითოეული ტერმინის დაფიქსირება და შესწავლა საშური საქმეა.

განვიხილავთ მესაქონლეობის ლექსიკის ერთი სემანტიკური ჯგუფის მცირე ნაწილს. სააფუნო სამოვრებზე დიდი ყურადღება ექცეოდა მწყემსის შესამოსელს და აღჭურვილობას, მას გარკვეული მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინა, – უნდა ყოფილიყო მსუბუქი, თბილი, გამძლე.

მწყემსის სამოსის აუცილებელი ატრიბუტი იყო **გვაბანაკი** „მწყემსის პალტო“ (თ. სახოკია, 1985, გვ. 360), **გვაბანა** „საზამთრო წამოსასხამი“ (დ. ფიფია, 1999, გვ. 12). მას სხვა მნიშვნელობაც აქვს: **გვაბანი** „ლეიბი“ (პ. ჭარაია, 1997, გვ. 49). შდრ. **გვაბანაკი** „ერთგვარი ზედა სამოსი, თექის მსგავსი“ (ქეგლ II, 1432). ორივე ფორმა სემანტიკის შენარჩუნებით შეთვისებული აქვს აფხაზურს: **ა-გაბან** „ლეიბი“ (ბლაჟბა, 1964, 320); **ა-გაბანაქ** „ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელი, გვაბანაკი“ (ბ. ჯანაშია, 1954, გვ. 79).

აფხაზურში სესხებისას ადაპტაციის წესები დაცულია, კერძოდ, **გვ**-კომპლექსი შეცვლილია **გ** თანხმოვნით, გარდა ამისა, აუსლაუტში მეგრულის სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით მოხდა უკანაენისმიერი **ქ**-ს პალატალიზაცია. ცნობილია, რომ პალატალიზებული უკანაენისმიერები აფხაზურის ძირეულ ლექსიკაში მინიმალური რაოდენობით

დენობით გვხვდება, ძირითადად რეალიზდება კართველურიდან ნას-
ესხებ მასალაში. ჩვენთვის საინტერესოა, რომ სესხების პროცესი
აფხაზურით არ დასრულებულა: გვხვდება ამ ჯგუფის ყველა ენაში,
გარდა უბიხურისა: აბაზ, **გაბანაქ**, ადიღ. **გაზანაჩ**, ყაბარდ. **გაზა-
ნაჩ** (შაყრილი, 1968, გვ. 65).

წ. ბჟანია აფხაზურისათვის ამოსავალ ფორმად თვლის თურქულ
კაპანეკს და მიუთითებს, რომ აფხაზური **ა-გაბანაქ** მეგრულად
ჟღერს, როგორც **გობენეჯი**, რუსულად (ყუბანელ და სხვა კაზაკებ-
თან) **კობენიაკი** (წ. ბჟანია, 1962, გვ. 99). ეს შეხედულება ნაკლე-
ბად სავარაუდოა, რადგან მეგრულშიც და აფხაზურშიც გვაქვს მარ-
ტივი **გვაბანი** და მისგან ნაწარმოები **გაბანაქ**, მაგრამ ასეც რომ
იყოს, აფხაზურისათვის სესხების შუალედური რგოლი მაინც მე-
გრულია – პალატალიზებული ქ-ს გაჩენას ახსნა სჭირდება, რაც
მხოლოდ მეგრული სახელობითი ბრუნვის რეფლექსად თუ ჩაითვლე-
ბა (ქ. ლომთათიძე, 1976, გვ. 170). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ
სიტყვებს აფხაზურში დიალექტების მიხედვით სინონიმური წყვილე-
ბი მოეპოვება: ბზიფურში აბჟუოურ **ა-გაბან**-ს **ა-ცართა** ჩაენაცვ-
ლება, აბჟუურ **გაბანაქ**-ს კი **ა-ჩება** (წ. ბჟანია, 1962, გვ. 205).

ტერმინი **კვაჩხა** // **ყვაჩხა**, რომელსაც ვერ ღავამორებთ ძველ
ქართულ და დიალექტურ **ქეჩხო**-ს, მეგრულში გარდამავალი სემან-
ტიკით გვხვდება: ი. ყიფშიძის განმარტებით ესაა „თხის ტყავი, მწყემ-
სები იყენებენ დასაგებად“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 255), პ. ჭარაი-
ასთან „ცხვრის მოქნილი. ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“ (პ.
ჭარაია, 1997, გვ. 67), ვ. შამილაძის ეთნოგრაფიულ მასალაში „ხის
ტახტი მწყემსის კარავში“ (ვ. შამილაძე, 1974, გვ. 69), ჩვენ მიერ
მოპოვებული მასალების მიხედვით „მწყემსის ქურქი“ (ჯვ). ეს ტერ-
მინი მეგრულიდან შეთვისებული აქვს აფხაზურ ენას. **ა-კაჩხა**
„ბეწვის მოუქნელი ტყავი ქვეშაგებად ხმარებული, ქეჩხო“ (ბ. ჯანა-
შია, 1954, გვ. 137). ვვარაუდობთ, რომ ზანური **ბიგა** ჩანს ქარ-
თული ენის დასავლურ მიკროსისტემებში: იმერ. **ბიგი** „რაიმეს საყ-

რდენი ჯოხი, ბოძი ან მისთანა“ (პ. გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 24), გურული **ბიგა** „ორკაპა თივის ასაღები ჯოხი“ (ს. ჟღენტი, 1936, გვ. 212), აჭარ. **ბიგალი** „ორ ან სამპოტიკა თივის ასაღები ჯოხი“ (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ. 135).

იმავე დანიშნულების იყო **კალუამი კეტი** (ჯვ.), ზედმ. „კავიანი ჯოხი“, ატრიბუტულ. სინტაგმაში მსაზღვრელად მქონებლობის სახელი გვაქვს, საზღვრულია საერთოქართველური **კეტი** „ჯოხი“; **ჩხვინდამი კეტი** (ჯვ.), ზედმ. „ცხვირიანი ჯოხი“. ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში მსაზღვრელი მქონებლობის -ამ სუფიქსით გაფორმებული **ჩხვინდ**-ია, რაც „ცხვირს“ ნიშნავს.

თითქმის ყველა ლექსიკონსა და ეთნოგრაფიულ მასალაში დაფიქსირებულია მწყემსის აღჭურვილობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი **ლაბაშა** „წვეტიანი რკინამოცმული მწყემსების ჯოხი მთაზე სახმარი“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 269; პ. ჭარაია, 1997, გვ. 84). ამოსავალია აფხაზურ-ადიღეური **ა-ლაბაშა** (აფხ), **ბაშა** (ადიღ.), **ბაშ**, (ყაბარდ.), **ბაშა** (უბიხ.) ფორმა (კ. შაყრილი, 1968, გვ. 76).

მწყემსს საზაფხულო სამოვარზე აუცილებლად მიჰქონდა **აბგა** // **აბგა** „აბგა ცხენზე გადასაკიდი ხურჯინი“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 31; პ. ჭარაია, 1997, გვ. 33). ტერმინი გვხვდება სამსავე ქართველურ ენაში: **აბგა** „პატარა ნივთების ჩასალაგებლად ჩანთა, რომელსაც მხარზე იკიდებენ“ (ქეგლ, I, 56); სვან. **აბგა** „აბგა, ხურჯინი“ (ვ. თოფურია, 2000, გვ. 21).

სააფუნო სამოვარებზე მწყემსის ასევე აუცილებელი ნივთი იყო **ბოხჩა** „ტყავის აბგა“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 207). ეს ტერმინი ლაზურშიც გვხვდება. იგივე ლექსემა გვაქვს აფხაზურში **ა-ბოხჩა** „მწყემსის ტყავის ჩანთა“ (წ. ბჟანია, 1962, გვ. 99). ეს სიტყვა თურქულიდან აქვს შეთვისებული ორსავე ენობრივ კოლექტივს. ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი აფხაზურსა და მეგრულს შორის ძნელია. აფხაზებს, ისევე, როგორც მეგრელებს, თურქებთან საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ, ასე რომ

ამ შემთხვევაში რაიმეს თქმა ძნელია.

თ. სახოკიას, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმატორია ამ სემანტიკური ჯგუფის კვლევისას, მწყემსის ერთერთ აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნია **საკი** „ტომარა“ (თ. სახოკია, 1985, გვ. 346).

ეს ტერმინი აფხაზურს შეთვისებული აქვს მეგრულიდან **ა-საკ** ფორმით (ა. შაგიროვი, 1989, გვ. 148). ტერმინი მეგრულშიც შეთვისებულია. ამოსავალია ბერძნული **saccos** „ძაძა, ტომარა, ბერის შესამოსელი“. ვვარაუდობთ, რომ ნასესხობას მეგრულში თავიდან ქრისტიანული სემანტიკა უნდა ჰქონოდა. აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი რომ მეგრულია, ამას ადასტურებს აფხაზური პალატალიზებული უკანაენისმიერი **კ** აუსლაუტში, რომელიც მეგრული სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსად ივარაუდება.

მწყემსს მუდამ თან ჰქონდა **ხართა** „გუდა“ (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 398). „ცხვრისა და თხის ტყავისაგან გაკეთებული ტანსაცმელი“ (პ. ჭარაია, 1997, გვ. 84). ეს ტერმინი გვხვდება სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **ხალთა** „ტყავის ტომარა, გუდა“ (ქეგლ. VIII, 1322); სვან. **ხალთა** // **ხალთ** „ხალთა გუდა“ (ვ. თოფურია, 2000, გვ. 867).

ლექსემა მეგრულიდან არის შეთვისებული აფხაზურ-ადიღურში: აფხ. **ა-ნათა** „ხალთა, გუდა“ (წ. ბჟანია, 1962, გვ. 92), აბაზ. **ნატგ**, უბიხ. **კატ** (ა. შაგიროვი, 1989, გვ. 137). აფხაზურში მეგრულიდან სესხებისას ერთ შემთხვევაში მოხდა მეტათეზისი **ხართა** > **ა-ნათრა**, მეორე შემთხვევაში სონორი **რ** საერთოდ დაიკარგა, თანაც მოხდა **ხ**-ს პალატალიზაცია, იმავე **ხართა**-სგან მომდინარეობს აფხაზური **ა-ჰათა** (ბ. ჯანაშია, 1954, გვ. 451). ამ შემთხვევაში **ხ** > **ჰ**, რაც ასევე ბუნებრივია ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებულ ფორმებში: **კალმახა** > **ა-კალმაჰა** „კალმახი“, **მუხა-მუზი** > **ა-მაჰმეზ** „დეზი“.

ამავე ჯგუფში განიხილება **ათამყა** // **ათამყა** // **ათამყა** „მწყემ-

სის ჩანთა“, ბარდნა „ტომარა“, კუპრული „თხის ტყავისაგან
გაკეთებული გუდა, ტიკი“, ლაგუჯი „გუდა (ი. ყიფშიძე, 1914,
270), ქასლა // ქასლაში // ქაცლაშია „ჭურჭელი, თხის ტყავისაგან
გაკეთებული, შიგნით და გარეთ გაფხეკილია, შიგ ასხამენ მაწონს
და მგზავრობის დროს დააქვთ“ (თ. სახოკია, 1985, გვ. 350), ქვინჩი
„მწყემსის ქურქი“, ხევი „ლაგუჯი, გუდა“...

ლიტერატურა

ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства

абхазов. Этнографические очерки. Сухуми

ბლაჟბა, 1964 – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба,

Сухуми.

პ. გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის

სალექსიკონო მასალა, თბილისი.

თოფურია, 2000 - ვ. თოფურია. მ. ქალდანი, სვანური ლე-

ქსიკონი. თბილისი.

ლომთათიძე, 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აზა-

ზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I, ფონოლო-

გიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი.

ნიჟარაძე, 1957 – შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებუ-

რებანი, გამოკვლევა და ტექსტი ლექსიკონითურთ, ბათუმი.

ჟღენტე, 1936 – ს. ჟღენტე, გურული კილო, გამოკვლევა,

ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1736. |

სახოკია, 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.

ფიფია, 1999 – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკ-

ონო მასალები. თბილისი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად,

არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1955-1964. '

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрель-

ского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

შაგიროვი 1989 – А. К. Шагилов, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

ვ. შამილაძე, 1974 – ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II, თბილისი, 1974.

შაყრილი, 1968 – К. С. Шакрыл, Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми

ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XIII, გამომცემლობა „ქართული ენა“

Linguistic Papers, XIII, “Kartuli Ena” Publications

გვ. 36-40